პროექტი

განკარგულება N__

”ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში კოსტავას ქუჩაზე მდებარე 1200.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი -28.01.23.140) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე- 2 პუნქტის და 108-ე მუხლის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ”ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში კოსტავას ქუჩაზე მდებარე 1200.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი -28.01.23.140) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტის ავტორი - მალხაზ ჩხიკვაძე

დასკვნა

”ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში კოსტავას ქუჩაზე მდებარე 1200.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი -28.01.23.140) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 108-ე მუხლის შესაბამისად“ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, მათ შორის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (შენობა-ნაგებობებით ან მათ გარეშე), აგრეთვე წილები/აქციები (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა) სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ქონების მმართველის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით.

მუნიციპალიტეტის საკრებულო წარდგენილ მოთხოვნაზე იღებს დასაბუთებულ დადებით ან უარყოფითგადაწყვეტილებას. პასუხი წერილობით ეცნობება მოთხოვნის წარმდგენს მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 45 დღისა. თუ უფლებამოსილმა ორგანომ 45 დღის ვადაში არ მიიღო გადაწყვეტილება, ქონების მმართველის მიერ მოთხოვნილი ქონება მის საკუთრებაში გადაცემულ ქონებად ჩაითვლება და სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირდება.

ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საკრებულოს განკარგულება.

ამდენად განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.

მალხაზ ჩხიკვაძე